საქართ. მუშათდ. ხოც.-მეურ. ხიროფ. პარტიის

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 100,000 მან.
4 „ 50,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 45 სამშაბათი, აპრილის 24 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განათლების მუშაკთა დაფასება

დღეს რუსთველის თეატრში განათლების მუშაკის აფ. ჯაფარიძის იუბილეა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია არა მით, რომ ერთ პიროვნების მოღვაწეობას ვაფასებთ, არამედ მით, რომ განათლების მუშაკნი ელირსენ ცოტაოდენ ყურადღებას.

საერთოდ განათლების მუშაკთა ბედი მეტად ტრაგიკულია. არ სცდებოდა ად. სმიტი, როდესაც ამბობდა, რომ ღარიბთა ჯგუფი საზოგადოებისა იწოდება სწავლულ წოდებადო.

ძველად გაცილებით მეტი ფასი და პატივი ჰქონდა განათლების მუშაკთ, ვიდრე დღეს.

საბერძნეთში განათლებულთა პატივი და დიდება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დღეს, ყუმბარების საუკუნეში, განათლების მუშაკთა ფასი დაეცა.

ამ საერთო ტენდენციით შეიძლება ნაწილობრივად მაინც აიხსნას ის მოვლენა, რომ ჩვენში გახშირებული იუბილეები მიეკუთვნა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების მსახურთ.

განათლების ფრონტზედ მუშაკნი, რომელთაც დიდი შრომა, დიდი ამაგი და დიდი დამსახურება მიუძღვით—დატოვებული იყო და არის ყურადღების გარეშე.

მე-20 საუკუნე უაღრესად კულტურის საუკუნე უნდა იქნეს. იგი კანონიერ მემკვიდრედ უნდა გახდეს მე-19 საუკუნის კულტურული მუშაობისა.

თუ ჩვენმა თაობამ ვერ შესძლო ამ ფრონტზე ინტენსიური მუშაობის წარმოება, მას ვერ უშველის წითელ დროშათა რხევა და დიადი იდეალები, რადგან თვით ამ მოვლენათა აღმოცენება კულტურის შედეგია და კულტურის საშუალებით უნდა იქნეს განაღდებული იგი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ჩვენ, როგორც პატარა ერს, განსაკუთრებული მუშაობა გვმართებს განათლების ფრონტზედ, კულტურის სფეროში. ჩვენი ქვეყნის აღორძინება ვერ დაიწყება სხვა ხალხთა ექსპლოატაციით, როგორც დიდი ერების და არც გვინდა ასეთი აღორძინება შესაძლებელიც რომ იყოს იგი. ამიტომ საკუთარი ხელით განსწავლული გონებით უნდა აღორძინდეს ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი კულტურა, ჩვენი ეროვნული ენერგეტიკა.

ამიტომ საჭიროა, რომ სათანადოთ დავაფასოდ განათლების მუშათა შრომა, შევქმნათ პირობები ამ შრომის გამარჯვებისაკენ. სიმშილის გამო არ უნდა გარბოდეს მასწავლებელი კანცელარიებისაკენ, გაჭირვებაში და უნუგეშო ყოფაში არ უნდა დავტოვოთ განათლების ფრონტზედ დაქანცული მუშაკნი.

დღეს ერთ ამ მუშაკთაგანის იუბილეა. ჩვენ გვყავს არა ერთი ასეთი მუშაკი დასაფასებელი. განათლების მუშაკთა კავშირმა, სახ. განათლების კომისარიატმა და საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ფაქტს.

გულით სავსე მადლობა მათ, ვინც ჩუმად და დაუღალავად ემსახურებოდა მრავალ წლების განმავლობაში ჩვენი ხალხის აღზრდას, ჩვენი ხალხის განათლებას.

## მოწოდება რურის ოლქის მუშების დასახმარებლად.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელსაც ასულდგმულებს საერთაშორისო ძმობის და სოლიდარობის იდეია, მიაქცევს საქართველოს მოქალაქეთა ყურადღებას შემდეგ გარემოებზე.

ამ ორი თვის წინათ საფრანგეთის მოძალადე იმპერიალისტები ყოველგვარ სამართლიანობისა და კანონიერების დარღვევით შეიჭრნენ გერმანიის ტერიტორიაში და დაიკავეს მისი მასაზრდოებელი სამრეწველო ცენტრი, რურის ოლქი.

ისტორიას არ ახსოვს ის სისასტიკე და ძალადობა, რასაც იქ სჩადის ფრანგები და ბელგიელები.

გერმანიის განვითარებული პროლეტარიატი საშინელ და აუტანელ მდგომარეობაშია და მძიმე ლოდათ აწევს მას ოკუპანტთა მონობის უღელი.

ამ მძიმე უღლის გატანაში მას ეხმარება პროლეტარიატი და მისი რევოლიუციონური ავანგარდი, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებული მუშათა კლასი.

მხოლოდ კომუნისტურ ინტერნაციონალმა და ყველა ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა აღიმაღლა ამ უმაგალითო უსამართლობის წინააღმდეგ ხმა, მხოლოდ მათ დაგმეს და გაკიცხეს გაბედულათ ოკუპანტების ტირანობა და ცინიზმი, მხოლოდ ისინი აღაშფოთა და აალელვა ამ ისტორიულმა უსამართლობამ.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ძმური ხელი გაუწოდა ამ გაჭირვების ჟამს გერმანიის მუშებს და გლეხებს.

რურის მაგალითმა ერხელ კიდევ აჩვენა მთელი მსოფლიოს მუშებს: თუ ვინ არის ჭეშმარიტი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა, ვის შესტკივა მის გაჭირვებაზე გული და ვინ ადებს მის წყლულებს მალამოს.

რუსეთი ფეხზე დადგა რურის ოლქის პროლეტარიატის დასახმარებლად და თავის ისედაც ღარიბ ჯიბიდან უხვ შეწირულებას უგზავნის მათ. არ დარჩენილა არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი წარმოება, სადაც არ შეეკრიბათ რურის პროლეტარიატისათვის შეწირულება.

სხვა მრავალ დახმარებათა შორის აღსანიშნავია 500 ვაგონი პურის ფქვილის გაგზავნა.

საქართველოს მშრომელ ხალხმაც უნდა გაიღოს თავისი წილი ამ საქმეში, მანაც უნდა გაუწოდოს ძმური ხელი რურის ოლქის ოკუპანტთა მძიმე უღლის ქვეშ მგმინავს გერმანიის პროლეტარიატს. ამას მოითხოვს საერთაშორისო ძმობა და სოლიდარობა და ის საქმე, რომელსაც დღეს საქართველო ემსახურება.

ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ასეთი თვისებებით ღარიბი და მით უმეტეს არ იქნება დღეს. კაპიტალიზმის მონობისაგან უკვე განთავისუფლებული საქართველო არ დაივიწყებს ასეთ მონობაში მყოფ გერმანიის პროლეტარიატს.

ყოველმა მუშამ, ყოველმა მოქალაქემ, ყოველმა გლეხმა უნდა გამოიღოს ამ საქმისათვის თავისი წვლილი.

შეწირულებას ღებულობს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელსაც ამ შემთხვევაში არა მარტო კაცთ-მოყვარეობის გრძნობა ამოქმედებს, არამედ იმ ქვეყნის მოქალაქეობრივი მოვალეობა, რომელ ქვეყანაში არსებობს და მოღვაწეობს.

შეწირულება მიიღება წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტში (ლენინის ქ. № 60. თაიროვის შესახვევი № 5.) და პროვინციაში საზოგადოების განყოფილებებში, ბათომში ჯანსახკომის მოადგილე კოჩიაშვილის დაბფოთში ექ. მიქაბერიძის მიერ. შეწირულების გამოგზავნა შეიძლება ფოსტითაც.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

**საქ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი**

## ბოლო-დეპეშები

### რურის ოლქის ოკუპაცია

**ბერლინი,** 21 აპრილი. მიულგეიმში უმუშევართა შორის მღელვარების გამო მდგომარეობა მეტად გამწვავდა. უმუშევრებმა მოახერხეს ზოგიერთი მაღაზიების დაკავება იარაღით ხელში; მოხდა შეტაკება პოლიციასთან უმუშევრების მიერ აგებულ ბარიკადებთან. ადგილობრივი პოლიციის დასახმარებლად დიუგსბურგიდან გამოიწვიეს 100 პოლიციელი.

დიუსელდორფში ისევ მოხდა უმუშევრების გამოსვლა, რომელიც ჩააქრო პოლიციამ.

ესენში უმუშევრებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რის შემდეგ მათ ალყა შემოარტყეს რატუშის შენობას.

ობერგაუზენში პარასკევს ღამით უმუშევრებმა ხელთ ჩაიგდეს იარაღის საწყობი.

რურორგში უმუშევრები მივიდენ რაგუბასთან თავისი მოთხოვნილებების წარსადგენათ.

მიულგეიმში მომხდარ ამბების გამო პოლიციამ დაატუსაღა 40-დე კომუნისტი.

**ინგლისი.**

**ლონდონი,** 17 აპრილი. ირლანდიის აჯანყებულების ერთ ერთი გამოჩენილი მეთაური გუშინ ტყვეთ წაიყვანა მთავრობის ჯარებმა.

**მოსალოდნელია საერთო გაფიცვა.**

ნორვეგიაში დამოკიდებულება მწარმოებლებსა და მუშებს შორის თანდათან მწვავდება. მოსალოდნელია საერთო გაფიცვა. გაზეთ „არბეიტერბლადეტი“-ს ცნობით, ბურჟუაზია მუშების საწინააღმდეგოთ საიდუმლოთ აწყობს ფაშისტურ ორგანიზაციას.

**მბეჭდავთა გაფიცვა.**

ნორვეგიის მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება. მწარმოებლებმა ვერ შესძლეს გაფიცვის ჩამშლელთა მუშაობაზე დაყენება. გაფიცვაში 24 გაზეთის მუშები იღებდენ მონაწილეობას.

**რუმინეთში**

რუმინეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან მწვავდება. ბუქარესტში მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიებმა მრავალრიცხოვან მიტინგზე გამოიტანეს დადგენილება, განაგრძონ ბრძოლა ვიდრე მთავრობას არ ჩამოაგდებენ. მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია რომლის დროსაც მოხდა შეტაკება ჯარებთან. ბევრი დაიჭრა, მათ შორის დაიჭრა ყოფილი მინისტრი პაპოვიჩი.

**გლეხების ამბოხება მოლდავიაში**

მიწის უკანონოთ განაწილების გამო მოლდავიაში მოხდა უმიწო გლეხების ამბოხება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საქსონია საბჭოთა რეჟიმის მოლოდინში.**

საქსონიის პრემიერ-მინისტრის დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნებული იყო საქსონიის ლანდტაგის (ადგილობრივ პარლამენტის) სხდომაზე, არის „საქსონიაში საბჭოთა რეჟიმის“ წინამორბედი. როგორც ვიცით, საქსონიაში არის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც ადგილობრივმა კომუნისტებმა აღუთქვეს დახმარება, რისთვისაც მთავრობამ იკისრა საერთო პროგრამის გატარება.

როგორც სჩანს, ჯერ-ჯერობით საქსონიის სოციალ-დემოკრატები ასრულებენ თავიანთ დაპირებას. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა ყოველივე ძალ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს კაპიტალისტური სისტემის კოლექტიური მეურნეობის სისტემით შეცვლას.

შემდეგ საქსონიის პრემიერი ენერგიულად იცავდა პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციას, თუმცა ლა ამავე დროს მან ფრთხილად აუხვია გვერდი იმას, რომ პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაცია უნდა შესდგებოდეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისაგან, თუ სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტებისაგან, როგორც სჩანს, საქსონიის პრემიერი ჯერ-ჯერობით ასრულებს თავის დაპირებას, მაგრამ საქსონიის კომუნისტები მაინც დიდ სიფრთხილეს იჩენენ.

და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან გერმანიის სხვა ადგილებში სოციალ-დემოკრატები საბოტაჟს უცხადებენ ერთიან ფრონტს და კომუნისტებისაგან დამოუკიდებლად აარსებენ პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციებს.

**გერმანია და ანტანტის ვალები.** ანტანტის ქვეყნებს დიდი ვალები მართებთ შეერთებული შტატების თუ ვიანგარიშებთ შეერთებულ შტატების მცხოვრებთ 100 მილიონად. აღმოჩნდება, რომ ანტანტის იქითა რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე მიუხედავათ სქესისა და ჰასაკისა, არის ანტანტის კრედიტორი 110 დოლარით. ამერიკელები არ იჩენენ მიდრეკილებას ჩამოსწერონ ევროპის ასეთი დიდი ვალი მაგრამ გაღატაკებულ ევროპას არ შეუძლია ამ ვალის გადახდა. ყველა მოვალეებიდან მხოლოდ ინგლისს აქვს განზრახული გადაუხადოს ვალი ამერიკას.

შტატების ექსპორტი ევროპაში უკანასკნელ 9 წლის განმავლობაში (1914—1922 წ.) 23 მილიარდ დოლარს აღემატება იმპორტს ინგლისის გარდა, არც მოვალე ქვეყანას არ შეუძლია დაფაროს განსხვავება სავაჭრო ბალანსში ოქროთი.

ვალების გადახდამ უნდა გამოიწვიოს ამერიკულ საქონლის მოთხოვნილების შემცირება ევროპის მხრივ. ამავე დროს შეერთებულ შტატების სამეურნეო კავშირი ევროპასთან ყოველ წლობით ვითარდება. თუმცა 1913 წელში (ომის წელიწადი) ევროპაში ექსპორტი შეადგენდა 71 პროც.-ს მაგრამ 1922 წელშიაც იგი კიდევ ვერ აღწევს 53 პროცენტს. აბსოლიუტურ ციფრებში ევროპა ომამდე იძენდა ამერიკისაგან 1—1 ნახ. მილიარდ დოლარის საქონელს, ხოლო 1921 წელს 4 ნახ. მილიარდ დოლარის ყველა ცნობები ამტკიცებენ იმას, რომ ევროპა, როგორც წინად იქნება ყველაზე უკეთესი მუშტარი ამერიკის.

საკითხი ვალების გადახდის შესახებ დამთავრდება ამგვარად, ბრძოლით ამერიკელ და ევროპის გადასახადების გადამხდელთა შორის: ან ამერიკა ჩამოსწერს ვალებს და მაშინ ამ ვალებს გადაიხდის შეერთებულ შტატების მცხოვრებნი, ან და თუ ის დაჟინებით მოითხოვს იგი ვალების გადახდას ეს ვალები მძიმე ტვირთათ დააწვება ანტანტის ქვეყნებს.

## ახალი ამბები

### ქალაქის აღმასკომში.

**კოლექტიური ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.** კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ დაადგინა გაგრძელებულ იქნეს კოლექტიური ხელშეკრულების ვადა ტრამვაის, წყალსადენის, აბანოების, ელექტრონის სადგურის და საამშენებლო სატეხნიკო დარგის მუშებთან დადებული.

— **გარე-უბნის სამილიციო რაიონის გაუქმება.** ქალაქის აღმასკომის სამმართველოს განყოფილების დადგენილებით 15 აპრილიდან გაუქმებულ იქნა გარე-უბნის სამილიციო რაიონი, რომელიც შეუერთდება სხვა და სხვა სამილიციო უბნებს.

### ა. კ. შრომის სახ. კომის. საქ. რწმ. სამ.

— **უმუშევრობასთან საბრძოლველად.** სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა ეთხოვოს საქ. სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას, რათა გასცეს განკარგულება აჭარის შიმშილობასთან მებრძოლ კომისიისადმი, რათა შრომის განყოფილებას გაუწიოს ფულადი დახმარება უმუშევრობასთან ბრძოლაში.

— **უმუშევრების სამშობლოში გაგზავნა.** ამავე სამმართველოს დადგენილებით აჭარის შრომის განყოფილებას მიეცა 100 მილიონი მან. ბათომში მყოფ უცხოელ უმუშევრების გასაგზავნათ სამშობლოში.

— **შრომის ბირჟების შესახებ.** შრომის სახალხო კომისარიატის სამ. კოლეგიამ დაადგინა—შრომის ბირჟები რესპუბლიკაში დატოვებული იქნეს მხოლოდ ტფილისს და ბათომში, ხოლო სოხუმსა, ქუთაისსა, ფოთსა, ბორჯომსა და ჭიათურაში—საკორესპონდენტო პუნქტებში. დანარჩენ ადგილებზე ისპობა შრომის ბირჟის მომწესრიგებელი, როგორც ასეთი და ადგილობრივ შრომის ორგანოებს უფლება ეძლევათ შემდგომი რეგისტრაციისა.

— **შრომის ინსპექტორთა ასისტენტთა რიცხვი.** კოლეგიამ დაადგინა შემცირდეს შრომის ინსპექტორების ასისენტთა რიცხვი და დაყვანილ იქნეს ერთამდის, რომელიც იმუშავებს ტფილისში.

### განათლების კომისარიატში.

— **კერძო ფასიანი ბიბლიოთეკების აღკრძალვა.** განათლების კომისარმა გასცა შემდეგი განკარგულება: „ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება არა ცნობს კერძო ფასიან ბიბლიოტეკის არსებობას, განკარგულებას ვიძლევი დაუყონებლივ უსასყიდლოთ ჩამოერთვას დამაარსებლებს ბიბლიოთეკა და გადაეცეს ტფილისის პოლიტიკურ განათლების განყოფილებას (ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საჭიროებისათვის.) წინადადება მიეცეს პოლიტიკური განათლების მმართველობის გამგეს ბიბლიოთეკის სამი დამაარსებელი: ა. კლდიაშვილი, მ. ბილიბინა და ს. სამადალოვა, გამოიყენოს სამუშაოდ პოლიტიკურ განათლების მმართველობის საბიბლიოთეკო დარგში

### ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატ.

— **ახალი ტარიფი.** 21 აპრილიდან გადიდებულ იქნა გადასახადი საფოსტო ამანათებზე, უბრალო წერილის გაგზავნა ღირს 50000 მან. საგანგებო—1000.000 მან. საფოსტო ღია ბარათების—30000 მან. საჩქარო წერილები—100.000 მან. ტელეგრამა სიტყვა ღირს ადგილობრივად—15 ათასი, სხვა და სხვა ქალაქებში—50 ათასი, საჩქარო 150 ათასი მანეთი.

## ეკონომიური ცხოვრება

**შავი ქვის ექსპორტი.**

საზოგადოება „ჩემოს“ ცნობების თანახმად, 1921 წლის განმავლობაში გატანილია 165,800 ტონა შავი ქვა (10,279,000 ფუთი), აქედან ჩვეულებრივი მადანი—99,138 ტ. (6.146.534 ფუთი). (59,80 პროც., გარეცხილი—56.963 ტ. (3.531.733) 34 35 პრ. და პეროქსიდი—9,699 ტ. (601.370 ფ), 5,85 პროც. ყველაზე მეტი გატანილი იყო ივნისში და სექტემბერში. ოქტომბერში, როგორც ვიცით, შემცირდა ექსპორტი წყალდიდობის გამო. ექსპორტი

თანდათან იზრდება იანვრიდან—4.884 ტ., სექტემბრამდე—28,864 ტ., ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში წყალდიდობის გამო ექსპორტი არ აღემატებოდა 13,000 ტონას.

გატანილია ჰოლანდიაში 35.84 პროც., (გერმანიისათვის), გერმანიაში—(უშუალოთ)—4.83 პრ., ინგლისში—32.59 პროც.. ამერიკაში—7.33 პროც.,

1920 წელს მენშევიკების დროს, გატანილი იყო 173,065 ც. (10.730.031 ფ.) აქედან ინგლისში 54.45 პროც., იტალიაში—15.17 პროც., ჰოლანდიაში—15.68 პროც., ბელგიაში—5.83 პროც., ამერიკაში—6.61 პროც., საფრანგეთში—1.93, და პოლონეთში—0,33 პროც.

**„ჩემოს“ ახალი ფირმა-**

საზ. „ჩემოს“ წევრთა რიცხვში მიღებულაა ა. ზ. მადათოვის კო-ს სამრეწველო ფირმა.

**მომავალი საზოგადო კრება.**

საზ. „ჩემოს“ საზოგადო კრება, 1922 წლ. ანგარიშების განსახილველად, გაიმართება ა. წ. 29 აპრილს.

**შავი ქვით დატვირთულ გემების მიმოსვლა.**

ამჟამათ ფოთში იტვირთება ერთი დიდი გემი „კუინ ალექსანდრა“—6,800 ტ. მადანით.

აპრილის პირველ რიცხვებში დაიტვირთა და გავიდა 7 გემი.

აპრილშივე დაიტვირთება კიდევ 8 გემი.

**ცეკავშირის კონსერვების ქარხანა.**

ცეკავშირის კონსერვების ქარხანა გორში ვერ მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, ვინაიდან ქარხნის შენობა სათანადო მოწყობილი არ არის. ადგილობრივ კოოპერატიული ორგანოების ახალმა შემადგენლობამ ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და 5000 მანეთი გადადვა ოქროთი ქარხნის გასაფართოებლათ. ქარხანა გადატანილია ახალ შენობაში, რომლის შეკეთება სწარმოებს: შენობის შეკეთებას და აგებას ხელმძღვანელობს გამოცდილი არქიტექტორი. ფარიკის შენობა მისი მანქანებით წარმოადგენს კონსერვის წარმოების ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას. წარსულ სეზონში ქარხნის გამომუშავება უდრიდა 2,000 ფუთს. ამჟამად კი, ქარხნის შეკეთების შემდეგ, ეს ციფრები შესაძლოა გაიზარდოს 30.000 ფუთამდე წელიწადში და საშუალებები და ნედლი მასალა დარჩა—60,000 ფუთამდე. ქარხნის გახსნა ახალ შენობაში განზრახულია პირველ მაისს. ქარხნის წარმოების საგანს შეადგენს: კონსერვები ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, მშრალი ფაბრიკატები, მშრალი ხილი და ბოსტნეული. ნარჩენების გამოსაყენებლათ ეწყობა სამეძალარო ქარხანა (винокур. завод). ქარხანას თავის განკარგულებაში აქვს 5 დესეტინა ბოსტანი და აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის საჩვენებელი ბაღჩა. ქარხანას ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც კონსერვების დამზადების საქმე შეისწავლა გერმანიის საუკეთესო ქარხნებში. ყველა ეს პირობები, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობენ, რომ გორის ქარხანა გადაიქცეს ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგათ.

# მუშათა ცხოვრება

**ხათაბალა „ხოზიაისტვენნიკები“**

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ გაზ. „ტრიბუნა“ „მუშა“, „რაბოჩაია პრავდა“, და „კომუნისტი“- სავსეა წერილებით, სადაც სხვა და სხვა დაწესებულებებს აკრიტიკებენ. პრესამ აღნიშნა, რომ ასეთი წერილები ბევრჯერ უყურადღებოთ რჩებოდა,—მუშა კორესპონდენტები იდევნებოდენ. საზოგადოების ყურადღება მიიქცია ამ რამოდენიმე დღის წინათ სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის გარშემო ატეხილმა ლაპარაკმა. ეს საკითხი მოძველებული არ არის—მასზედ ლაპარაკი ღირს, ვინაიდან **წყალშენის მოსამსახურეებს დღესაც მიუღებელი აქვთ 1922 წლის დეკემბრის ჯამაგირი ამავე წლის საკომპენსაციო ფული და 1923 წლის იანვრის ჯამაგირი.** მეორე გარემოებაც არის მიზეზი, რომ ამ საგანზე კიდევ ვსწერთ: B. C H. X.-ას მესვეურებმა, რომელთაც ბრალს სდებენ საკითხის მოუწესრიგებლობაში ხმა ამოიღეს და თავი მამა აბრამის ბატკნათ გამოჰყავთ.

ხელთ მაქვს B. C. H. X.-ას ყოველკვირეული გაზეთი „Народное хозяйство Грузии“. ამ ნომრის მეთაური B. C. H. X.-ას დებიტორები“, და ვინმე B A.-ას წერილი სათაურით: „შეიძლება გაიგონა,“ ეხება ერთსა და იმავე საკითხს. კარგია, რომ ხმა ამოიღეს, მაგრამ ერჩიათ დუმილი.

კიდევ უკეთესი იქნებოდა. მოვიყვანოთ რამოდენიმე ფრაზა დასახელებულ ორგანოდან: მეთაურში ვკითხულობთ; „ამ ბოლო დროს მოდაშია და მუშათა პრესის საუკეთესო ტონათ გადაიქცა კრიტიკა სახელმწიფო წარმოებათა, ხელფასის დაგვიანების შესახებ. არ სცნობენ საჭიროთ,—გამოარკვიონ ნამდვილი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა, რაც დაუშვებელია პარტიული საბჭოთა პრესისათვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხება საბჭოთა წარმოებას ან საბჭოთა დაწესებულებას“ ამ ამონაწერს ქვევით შევეხებით.

გაზეთი მეთაურში არკვევს მოსამსახურეების მიერ ხელფასის მიუღებლობის მიზეზს; წარმოუდგენია სია დაწესებულებათა, რომლებიც ვალს არ უხდიან B. C. H. X.-ას ესენი ყოფილან ქალაქის. აღმასკომი, საგანგებო კომისია, ჯანმრთელობის კომისარიატი და სხვები. ავტორის აზრით ეს ყოფილა მიზეზი ჯამაგირის მიუღებლობის, რომელიც იწვევს „სამართლიან, მაგრამ დაუსაბუთებელ საყვედურს“. შემდეგ აღნიშნავს რომ „B. C. H. X. ას“ უხთება აზერბეიჯანის ნავთი ნაღდზე იყიდოს და ბოლოს დაასკვნის რომ, **ასეთ პირობებში B. C. H. X.-ას გაკრიტიკება უაზრობაა.**“ (ხაზი ჩემია).

არის ერთი კატეგორია ხალხის, რომელიც იმაზე კი არ სწუხს, რომ საქმე ფუჭდება, არამედ ეძებს საბუთებს, რომ თავი იმართლოს, თუ კი ასეთმა ხალხმა თავის გასამართლებელი თავისებური საბუთები იპოვა, გულს დაიმშვიდებს და თავი ქუდში აქვს. განგებ ვრცლათ მოვიყვანე „Народное хозяйство Грузии“-ს მეთაურის აზრი, რომ მკითხველს ნათლათ დაენახა, თუ რა ღირსების არის თავის გასამართლებელი საბუთები. მოსამსახურეები სამ-ოთხ თვეობით ხელფასს ვერ ღებულობენ, და სიმშილით რომ არ დაიხოცონ, ჰყიდიან უსაჭიროეს ნივთებს, მუშა-მოსამსახურეებს ტყავი სძვრებათ—მათი დამქირავებელი B. C. H. X. ას მესვეურნი ცათამდის მართალნი არიან; რატომ? ნუ გაგეცინებათ: თურმე აზერბეიჯანიდან ნავთს ნაღდზე ყიდულობენ!.. მუშათა პრესა ამ ყველასათვის ადვილათ დასანახ უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს. პრესა უაზროა—რატომ? B. C. H. X.-ას ვალები არ გადაუხადა ქალაქის აღმასკომმა, რკინის გზამ და სხვებმა.

ჩვენ გამოვარკვევთ ამ უსამართლობის ნამდვილ მიზეზს, მაგრამ ჯერ გავყვეთ ქვევით.

გაზეთის იმავე ნომერში (№ 16) ვინმე B. A. არკვევს მიზეზს, თუ რატომ ვერ მიიღო B C. H. X. თავის დროზე ფული სხვა და სხვა დაწესებულებიდან. „რას გვიწოდებდენ ჩვენ, რომ ქალაქის აღმასკომისათვის შეგვეწყვიტა საწვავი მასალის მიცემა? **ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდებოდენ არა მარტო როგორც ცუდ მეურნეებზე, არამედ როგორც კონტრ-რევოლიუციონერებზე,** (ხაზი ჩვენია) ვინაიდან ტფილისი დარჩებოდა უწყლოთ და სიბნელეში რაიც დაუშვებელია ჩვენის მხრით“. სწერს იგი შემდეგ არკვევს, რომ უხდებათ რაღაც გარკვეული პოლიტიკის წარმოება „ნეპოს“ პირობებში მომენტით ნაკარნახევი. არ ვიცით შემდეგ როგორ ფორმებში იქნება გამოხატული ეს პოლიტიკა, მაგრამ ჯერჯერობით საჭირო არაფერი სჩანს.. რას გიწოდებდენ ქალაქისათვის რომ შეგეწყვიტათ საწვავი მასალის მიცემა? თავს ნუ იკატუნებთ, კონტრ-რევოლიუციონერის იარლიკს თქვენ ვერავინ მოგაკერებთ. ხშირია საკვირველებანი ამა ქვეყანაზე, იქნებ წითელ დაფაზედაც მოხვდეთ... თუ „ნეპოა“, დეე ყველასათვის იყოს იგი...

ჯერ კიდევ საკითხია პატივცემულო, B. A. რა უფრთ დიდი შეცოდება იქნებოდა, შეფერხებულიყო რამოდენიმე ხნით ტფილისში „ქეიფი დილამდის“, „ქეიფი განუსაზღვრელ დრომდის“ B C. H X-ას ხარჯზე. ელექტრონით გაბრწყინვებულ სარდაფებში და მისცემოდა თავის დროზე ხელფასი იმ ინჟენერებსა და ტეხნიკოსებს, რომლებიც არხების გასაყვანათ და ჭაობების ამოსაშრობად გაგზავნეთ, ამყოფეთ მშიერ ტიტველი თვეობით, და ამას მოჰყვა სასოფლო ყრილობის დადგენილებით მუშაობათა დახურვა, თუ B. C. H. X-ას პრეზიდიუმს თავისი სატყვა უკან არ წაელო მიეცა მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასი და მთავრობის ავტორიტეტი არ დაეცა გლეხებ ს თვალში.

წარმოუდგენელი ბოროტმოქმედებაა იმ ადამიანების დავიწყება, რომლებიც მუხლამდე დამპალ ტალახში დგანან ძველი არხების გასაწმენდათ და მალიარიის მსხვერპლი ხთებიან. თუმცა მათ ვერ დაინახავთ ტფილისიდან, თუნდ ღამეც გაათენოთ ავტომობილში და პორთფელების მალაზიაც გახსნათ...

„რაბოჩაია გაზეტას“ მიერ მოთავსებულ არასწორ ინფორმაციას რომ დაებლაუჭეთ გლახა კრიტიკოსივით (კრიტიკას სხვებს უწუნებთ), გეკითხებით B. C. H. X-ას პრეზიდიუმის წევრებო: 14 თებერვალს 1923 წელს აღუთქვა თუ არა შრომის კომისარიატთან არსებულმა შემარიგებელმა კამერამ წყალშენის (гидрострой) მუშა-მოსამსახურეების კუთვნილი დეკემბრის იანვრის და თებერვლის ჯამაგირის მიცემა 20 თებერვლამდე? მოაწერა თუ არ ამას B C H X-ას **პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ელბაქიძემ ხელი?** იყო თუ არა იურიდიულათ დ ზნეობრივათ (თუ კი ეს თქვენ...) ვალდებული B. C. H. X. ... შესრულებია? რატომ არ შეასრულა?

მართალი ყოფილა ამხ. მიქაძე, როცა განცხადებია ამის შემდეგ, რომ ის იძულებული გახდება გაჰყიდოს რომელიმე ტრესტის კუთვნილი ქონება და დააკმაყოფილოს მუშა-მოსამსახურეები, მაგრამ მტყუანია „ვიღაც“ და „რაღაც“, რომ სისრულეში ვერ მოიყვანა ეს აზრი შრომის კომისარმა ამხ. მიქაძემ.

სახელმწიფოს მეურნეობა საფრთხეშიაო, სწერენ: თუ ეს ასეა, ყველამ გავინაწილოთ ეს გაჭირვება. განა სამართლიანია წყალშენის მოსამსახურეს, რომელსაც იანვარში ერგებოდა „რაღაც ოთხ მილიონამდე მანეთი ბონებით“, მიუღებელი ჰქონდეს და პასუხისმგებელ პირს, რომელსაც სახელმწიფოს დიდ ერთგულათ და დიდ შეგნებულათ მოაქვს თავი წესიერათ ეძლეოდეს ბევრათ მეტი?

მე აღვნიშნე ტრიბუნის № 434-ში და კიდევ აღვნიშნავ, რომ **ზოგიერთებისათვის კანონი არ კანონობს.** ეს უმთავრესი მიზეზია ყოველგვარი გაუგებრობის. კერძოთ B. C. H. X-ას მოქმედებას და მის მიერ მოსამსახურეების დანაწილებას შვი**ლებათ და გერებათ** სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ. ვისაც ძალუძს გვიხსნას ახირებული „ხოზიაისტვებიდან“, სახელმწიფოს გაჭირვება ყველამ გაინაწილოს. რა სამართალია, ზოგი ფუფუნებაში იყოს და ზოგი ამ „გაჭირვებისაგან“ გაიჭყლიტოს.

დიახ, დასაშვებია პრესისათვის მხილება და დაუშვებელია ისეთი მოქმედებანი, რომლებიც B. C. H. X ას **ახასიათებს.** ჩვენ მეტს მოვითხოვთ იმათგან, ვისაც შეგნებულ მოღვაწეთ მოაქვს თავი. პროფესიონალურ ორგანიზაციებს მეტი სიფხიზლე მართებს—ზოგიერთები შესუქდენ — მოვალეობას ივიწყებენ. თუ როგორ ატარებენ „ნეპოს“ პოლიტიკას B. C. H. X-ას განყოფილებები და როგორ ექცევიან ზოგიერთ დაწესებულებებს ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

**ხ. ჭეიშვილი.**

# მბეჭდავთა კლუბი

შაბათს, აპრილის 21-ს მბეჭდავთა კლუბში, მბეჭდავთა კავშირთან არსებულ ქართულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქმნა პ. ირეთელის 5 მოქმედებიანი დრამა: „დამარცხებულნი“.

პიესაში მონაწილენი თითქმის ყველანი მუშები იყვნენ და ამასთანავე ზოგი მათგანი სრულებ. ით ხ.მი, მაგრამ ყველა ამის მიუხედავად და სხვა მრავალ დაბრკოლებისა, წარმოდგენამ მაინც მოლოდინს გადააჭარბა და მწყობრად ჩაიარა.

ეტყობა მუყაითი შრომა არ დაუზოგავს წრის ხელმძღვანელს და თვით მონაწილე მუშებს, რომ პირნათლად შეესრულებინათ დაკისრებული მოვალეობა.

აღსანიშნავნი არიან განსაკუთრებით ძველი სცენის მოყვარენი, რომელთაც დამსწრე მუშების ყურადღება მიიქციეს თავიანთის თამაშით ქ-ნი ვ. ბეგიჯანიანი (ქეთოს და ელისაბედის როლებში), შ. ფურცელაძე (დავით ბაღდანიძის როლში), ბესო

# მცირე განმარტება

ამა წლის გაზ. „ტრიბუნ“-ის № 437 მოთავსებულია ფელეტონი **შენიშვნის მაგიერ,**—რომელსაც ხელს აწერს ვინმე ირ—დი. იძულებული ვარ, მცირე განმარტება მოვახსენო პატივცემულ ავტორს, რადგან იგი საკამათოთ ხდის ზოგ ჩემ აზრს, რომელიც გამოთქმული მქონდა ფელეტონში—**აკაკი—**და რომელიც დაბეჭდილი იყო ამავე წლის „ტრიბუნ“-ის № 431.

1) ავტორი ფელეტონისა ბ-ნი ირ—დი არ ეთანხმება და უმართებულოთ სთვლის ჩემ შეხედულებას გ. წერეთლისა და გ. ყაზბეგის საქმიანობის შესახებ, რომლის შესრულებას ისინი 1877—1878 წ.წ, აპირობდენ. ბ-ნი ირ—დი მეუბნება:

ა) „მაგრამ ჩვენ მას (ე. ი. მე) ვერ დავეთანხმებით 1877—1878 წ.წ. რუსთ-ოსმალეთის ომიანობით გამოწვეულ „იმედის“ აღნუსხვაში და იმ „იმედ“-ით ამოქმედებულ ჯგუფის დახასიათებაში“; ბ) „მაგრამ უმართებულოთ მიგვაჩნია მისი (ე. ი. ჩემი) შეხედულება გ. წერეთელზე და ყაზბეგზე—ანუ საერთოთ „შეთქმულთა ჯგუფზე“; გ) „რუსოსმალთა ომით ანთებული „იმედი“ არ იყო მთლათ ილიუზია, გარდა იმისა, რომ ამ ომს ქონდა მთელი რიგი საიდუმლო დაპირების ელემენტებისა, იგი პირდებოდა ქართველებს სამუსულმანო საქართველოს შემომტკიცებას და რუსეთის კალთებ ქვეშ საქრისტიანო საქართველოსთან გაერთიანებას.. ვინ იტყვის, რომ ეს არ ჩაითვლებოდა უდიდეს მადლათ და ვინ უძრახავს გ. წერეთელს, როცა იგი ამ მრწამსით შეიმედებდა გეოგრაფიულათ საქართველოს ბჭეებთან ატეხილ ომს!“.

ამ სამი ამონაწერიდან ცხადათ სჩანს, რომ მე და პატივცემული ირ—დი სულ სხვა და სხვა რამეზე ვლაპარაკობთ... ისიც ცხადია, რომ მან სრულებით არაფერი იცის იმ იმედების შესახებ, რომელსაც გ. წერეთელი და გ. ყაზბეგი ამყარებდენ 1877—1878 წ.წ. ომზე. ავტორს აქ სრულებით არეული აქვს ორი სხვა და სხვა მიმდინარეობა პოლიტიკური ზრახვისა, რომელიც ასულდგმულებდა ერთი მხრით გ. წერეთელსა და გ. ყაზბეგს, და მეორე მხრით მთელ ნაშიმდელ ქართველ ინტელიგენციას, რომლის აზრებისა, მისწრაფებისა და ზრახვათა გამომჟღავნებელი იყო მაშინდელი „დროება“ და რომელს ხელმძღვანელობდენ სერგეი მესხი, ილ. ჭ ჭავაძე და სხვანი. ამ უკანასკნელთ მართლა ის უნდოდათ, რასაც სწერს ბ-ნი ირ—დი. ამათ ეს წადილი მართლაც რეალურ ნიადაგზე იდგა მედგრათ და კიდევაც განხორციელდა. ესენი ვრცელ პროპაგანდას აწარმოებდენ ქართველ საზოგადოებაში სიტყვით, საქმით, კრებებზე და გაზეთის ფურცლებზე, რომ რუსეთს უეჭველათ უნდა გაემარჯვნა ოსმალეთზე, და მხოლოდ ამ გამარჯვებით შესაძლებელი ხდებოდა ბათომის ოლქისა და ჭანეთის შემოერთება საქრისტიანო საქართველოსთან. ეს ჯგუფი, მაშასადამე, მხარი-მხარ მიდიოდა რუსეთის გენერლობასთან და გარკვეული ცხადი მიზანი ჰქონდა. მიზანი კი ერთი იყო: ოსმალეთის დაძლევა და საქართველოს გატაცებული ადგილების რუსეთთან შემოერთება. აი, ამ პოლიტიკას აწარმოებდა გაზ. „დროება“ და მის გარშემო შემოკრებილი ინტელიგენცია. რომ ეს ასეა, ამას ცხადათ დაინახვთ, თუ თქვენ კეთილ-ინებებთ და გადაიკითხავთ მაშინდელი „დროების“ ნუმრებს, რომელში მოთავსებულია ცეცხლ-ანთებული სტატიები სერგეი მესხისა, სწორედ ამ პოლიტიკის გამტარებელი, მქადაგებელი და ბეჯითათ დამცველი. ამასვე დაგარწმუნებთ, თუ თქვენ გადაიკითხავთ ანგარიშს იმ ნადიმისას, რომელიც ტფილისის ინტელიგენციამ გაუმართა ხიმშიაშვილს, აჭარის ბეგს, და რომელიც რუსეთის მოჰხრე შეიქნა იმ ომიანობის დროს, და რომელიც ასეთათ შეიქმნა უმთავრესათ იმიტომ, რომ მასთან მჭიდრო კავშირი დაიჭირა მაშინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ, იმ ინტელიგენციამ რომელიც აქ აღნიშნულ პოლიტიკას აწარმოებდა. ამ პოლიტიკის მწარმოებელ პარტიას, თუ გნებავთ, ჯგუფს, შეთქმულთა ჯგუფი არ ეწოდება და ვერც დაერქმევა. რადგან ეს პარტია, ეს ჯგუფი ცხადათ და აშკარათ მოქმედობდა, მას არავინ ხელს არ უშლიდა, რადგან ამ პარტიის საქმიანობა და მოქმედება სრულებით შეგუებული იყო იმ მოქმედებასთან, რომელსაც აწარმოებდენ თვით რუსეთის მმართველი წრეები: მიზანი, მისწრაფება ერთი იყო, ხოლო შედეგების შეფასება ან გამოყენება სხვა იყო. ეს განსხვავება კი მხოლოდ შემდეგ გამოირკვა. ბათომის ოლქი შემოგვიერთდა, მაგრამ იქ ქართველობა რუსეთის ბიუროკრატიამ როდი გააჭაჭანა სამომქმედოთა და სამოღვაწეოთ.

მაგრამ სრულებით სხვა გზას დაადგა, სრულებით სხვა გვარი პოლიტიკური გეზი აიღო გ. წერეთელმა და გ. ყაზბეგმა. ამათ პირდაპირი კავშირი დაიჭირეს ინგლისის მთავრობასთან ბათომის კონსულის საშუალებით და სურდათ ინგლისის დახმარებითა და გავლენით მთელი საქართველო გაენთავისუფლებინათ რუსეთის დამოკიდებულებისაგან და საქართველო დამოუკიდებელი შეექნათ. ამისათვის თვით გ. წერეთელი იყო გაპარული ინგლისის კონსულთან ბათომში და მასთან პირდაპირ მოლაპარაკებას აწარმოებდა. თუ ეს მოლაპარაკება მოიტანდა „იმედების“ გამართლებას, მაშინ გ. ყაზბეგს, რომელიც მეთაურობდა აგრე წოდებულ „Шio Рионский отряд“-ს, უნდა მოეწყო რუსეთის ლაშქრისთვის, რომელიც ჩაქვთან იბრძოდა, ზურგში აჯანყება, ამით გამოიწვევდა არევ-დარევას, და რუსეთს ეს ომი უნდა წაეგო. მაშინ ინგლისის გავლენითა და დახმარებით სათათრეთიც დათმობაზე წავიდოდა და საქართველო ვითომც დამოუკიდებელი გახდებოდა და სათათრეთის მიერ წინეთ გატაცებულ ადგილებს შემოვიერთდებდით: აი, ეს ჯგუფი მართლა იყო შეთქმულთ ჯგუფი. ვინ იტყვის, რომ გ. წერეთელსა და გ. ყაზბეგს არ ასულდგმულებდა პატრიოტული გრძნობა!? მაგრამ ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ და არც ზაფრიანი ქალიშვილები, რომ ყოველივე გაბედული მოქმედება მოვიწონოთ? ჩვენ უნდა ვსთქვათ ის, რაც სათქმელია. სათქმელი კი ის არის, რომ ეს პოლიტიკა დამღუპველი იქნებოდა საქართველოსათვის, რადგან ამ პოლიტიკას არა თუ მაშინ, როგორც ვხედავთ, დღესაც არავითარი ნიადაგი და გასავალი, რეალობის ნასახი არც ამჩნევია და ვერ დაემჩნევა. ეს ჩვენ პირადათ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია უდიდეს დანაშაულად ქართველი ერის წინაშე. ვიცი, რომ დღესაც და გუშინაც ბევრი იყო ჩვენში ამ პოლიტიკის აწარმოებელი. ვიცი, რომ ახლაც, ამ ომიანობის დროს 1915—1916 წ.წ, ამავე პოლიტიკას აწარმოებდა ინტელიგენციის ერთი ჯგუფი და ის ჰოელოდა, რომ ამ ჟამად არა ინგლისის დახმარებით და გავლენით, არამედ გერმანიისა და გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მე 2 მეოხებით ასეთსავე შედეგს მიაღწევდა. მაგრამ ჩვენ ეს პოლიტიკა მაშინვე აშკარად დავგმეთ ერთ დიდ ყრილობაზე, და ახლაც ვგმობთ, რადგან ამას სრულებით სხვა სუნი უდიოდა და დიდ განსაცდელს უქადდა ქართველობას. მაგრამ ეს პოლიტიკა არა, თუ მე პირადათ უნდა დავგმო, ეს პოლიტიკა დაგმობილია სოც.-ფედერალისტთა პარტიის მიერ დღიდან ამ პარტიის დაარსებისა, ამიტომ ამ პარტიის ყოველი წევრი ვალდებულია ამ პოლიტიკის დამგმობი იქნეს და იყვეს. კმარა მეტი განმარტება მგონია, საჭირო აღარ არის. დავძენ, რომ ესევე აზრი გ. წერეთლისა და გ. ყაზბეგის მოქმედების შესახებ გამოთქმული მაქვს სტატიაში „სადღეისო მუსაიფი“ III (იხ. „ტრიბუნა“ 1922 წ. № 310). ნეტავ სად იყო მაშინ ბ-ნი ირ-დი, რომ ასეთი შენიშვნა არ გამიკეთა?

2) ავტორი ფელეტონისა ბ ნი ირ-დი მისაყვედურებს, ვითომც მე აკაკის განდიდებას ვცდილობდე და ილიას კი დამცირებასა და დადაბლებას. იგი სწერს: „შესაძლებელია, ქართველ მოაზროვნეებში არსებობდეს ახირებული ტენდენცია ილიას დადაბლების და აკაკის ამაღლების, რაც ჩვენ უდიდეს დანაშაულად მიგვაჩნია“. ცხადია, რომ ავტორი ამ განცხადებით ჩემსკენ ისვრის კენჭებს, მაგრამ დარწმუნდეს, რომ ტყუილად გასჯილა. თუ ვინმე ასეთი ეგულება, ვურჩევ, ახლოს მოიძებნოს ასეთი. მე კი ეს განცხადება ავტორისა სრულებით არ შემეხება. არ შემეხება კი იმიტომ, რომ მე არც მქონია და არც შეიძლება მქონოდა ასეთი ახირებული სურვილი, რომ ვინმე ან ავამაღლოთ ან დავადაბლო, რადგან ასეთი სურვილი ბიწიერებაა საზოგადოებრივი და იმდენი შეგნებაც მაქვს, რომ ჩემი ასეთი სურვილიც კი ვერც ვისმე აამაღლებს და ვერც ვისმე დაადაბლებს. ილიას რომ მე არ ვამდაბლებ და არც აროდეს დამიდაბლებია ის, ეს ჩემი ნაწერებიდან ცხადათ სჩანს, თუ კი ბ-ნი ირ-დი ინებებს, ამ ნაწერებს გაეცნოს. ჩემი აზრი ილიაზე გამოთქმული მაქვს ოთხ სტატიაში და იქ გარკვევით აღნიშნული მაქვს ილიას მნიშვნელობა ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებისათვის: ა) სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე (იხ. გაზეთი „ისარი“. 1907 წ. № 199); ესევე სიტყვა მოთავსებულია: ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება. დასურათებული კრებული. გვ. 190—193; ბ) ილია ჭავჭავაძის სახსოვრად (იხ. გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1913 წ. № 887); გ) იძულებითი განმარტება (იხ. ჟურ. „განთიადი“ (ქუთათური, 1915 წ. № 1 და 5); დ) ოპტიმიზმი ქართულ მწერლობაში,

# პედაგოგ აფ. ჯაფარიძის იუბილე



საქართველოს სინამდვილემ მრავალი დამსახურებული მოღვაწე იცის, ბევრი მათგანი გამხდარა ქართველის საზოგადოების განსაკუთრებული პატივისცემის საგნად და სიცოცხლეშივე განუცდია სამაგიერო სიყვარული მშობელი ერის, მაგრამ პედაგოგიურ არენაზე, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მოღვაწის სახელი ძალიან იშვიათი მოვლენაა—და ძნელად დასამსახურებელი.

ჩვენ მრავალი მუშაკისათვის გადაგვიხდია სადღესასწაულო დღეები, მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, მასწავლებლის 50 წლის მუშაობის იუბილე ჩვენს სინამდვილეს ჯერ არ ახსოვს და პატივცემულ აფრასიონ ჯაფარიძის დღევანდელი საღამო, მისი ნახევარი საუკუნის მოღვაწეობის აღსანიშნავად, პირველი მაგალითია საქართველოში. ამდენადვე ეს ახალია და უაღრესად პატივსაცემი მნიშვნელობის.

იშვიათი ფიზიკური მძლეობა და სულის სიმკვეთრე უნდა იყოს სპეციფიური ნიშანი იმ პიროვნების, ვინც თავისი სიცოცხლის სამს-მეოთხედს ზვარაკად მიიტანს, პატარა,—მოზარდი თაობის აღზრდის სამსხვერპლოზე და თავის მორალურ მოვალეობად მიიჩნევს საკუთარი არსება დაფერფლოს ბავშის სწავლების ქურაზე.

რამდენადაც საყვარელი და საინტერესოა მასწავლებლის პირდაპირი საქმე, იმდენადვე ტრაგიულია მისი ბედი ყოველ ჟამს. ახალგაზრდა პედაგოგის (რომლის ბუნებრივ მოწოდებასაც შეადგენს სკოლა და მოწაფე). სიცოცხლე არის ბრძოლა ნივთიერი ნაკლოვანების გამოსწორებისათვის, ხოლო ცხოვრების დასრულების ნიშნად ტუბერკულიოზი ევლინება უცნაურ საშინელებად.

აფრასიონ ჯაფარიძის ცხოვრება და საპედაგოგიო პრაქტიკული მუშაობა, არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი პატიოსანი მშრომელი მასწავლებლის მოღვაწეობისაგან. მისი ბიოგრაფიული ცნობები საუკეთესო ილიუსტრაციაა ამისთვის.

ა. ჯაფარიძე დაიბადა 1853 წელს, რაჭის სოფ. საკავაში. პირველდაწყებითი სწავლას იგი ღებულობს ონში, ხოლო საშუალო ცოდნის მისაღებად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას აშურებს. საკუთარი ნივთიერი რესურსები ძალიან უიმედონი იყვნენ ბავშისათვის. სწავლის გაგრძელება ფრიად საძნელო საქმედ გადაექცა მას.

ამ დროს ტფილისში არსდება ე. წ. „ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება კავკასიაში“ (რომელ ორგანოსაც რამდენიმე სკოლა ჰქონდა და საკუთარი მეურნეობით ინახავდა). 1870 წელს ეს საზოგადოება ტფილისში აარსებს სამასწავლებლო სემინარიას, სადაც შედის ახალგაზრდა აფრასიონი ამავე საზოგადოების სტიპენდიანტად. ორი წლის შემდეგ ეს სემინარია სამასწავლებლო ინსტიტუტად კეთდება, რის სრულ კურსსაც ა. ჯაფარიძე ათავებს 1874 წელს ივ. როსტომაშვილთან ერთად.

ინსტიტუტშივე ყოფნის დროს, იწყებს იგი მასწავლებლობას (1873 წ.) მონასტირცევის კერძო პანსიონში, ხოლო 1874 წელს, ზემოთ აღნიშნული საზოგადოების მიერ, როგორც უკანასკნელის სტიპენდიანტი, იგი ინიშნება თიონეთში პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებლად, სადაც 4 წელს მოღვაწეობს. ამის შემდეგ საქართველოს ერთი შორეული კიდურიდან თიონეთიდან, ის მეორე კიდურში, ახალციხეში, ინიშნება. როგორც ერთი, ისე მეორე ალაგას თავისი ყოფის მრავალ საბედისწერო მომენტებს განიცდის იგი. უკანასკნელ ალაგზე ის 1884 წლამდე რჩება.

ამავე დატას ეკუთვნის მისი დანიშვნა გორის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლად ერთი წლის შემდეგ ტფილისის სამოქალაქო სასწავლებელში (ეხლანდელი—II-ე [illegible] სკოლა) გადმოყავსთ იგი და დღესაც იმავე ალაგზე მოღვაწეობს.

ყოველი დეტალი ა. ჯაფარიძის საპედაგოგიო მუშაობისა, დიდი ინტერესით შესწავლება უსათუოდ.

მთავარი, რაც მისი უახლოესი ზრუნვის საგანს შეადგენდა, იყო ქართული ენის უფლებისათვის ბრძოლა. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც რუსული ბიუროკრატია ურიდ თავდასხმას ახდენდა ქართულ კულტურაზე და მაშინდელი სკოლებიდან სამშობლო ენა იდევნებოდა სასტიკად.

ეს ბრძოლა უპირველეს ყოვლისა იწყებოდა იქიდან, რომ ქართული ენა აღიარებულ იქნა არასავალდებულო საგნად, კვირაში ორი საათის მაგივრად ქართულ ენას დაეთმო ერთი საათი და ისიც მეექვსე გაკვეთილზე. ყოველივე ამას ხედავდა პატიოსანი ქართველი მასწავლებელი აფ. ჯაფარიძე და ამ ნიადაგზე მრავალჯერ მოუხდა საკმაოდ საგრძნობი უსიამოვნება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე სლავინსკისთან.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა აფ. ჯაფარიძის დამოკიდებულება მთავრობასთან ისე მწვავდებოდა, რომ მას სამსახურიდან დათხოვნა ელოდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, საპირადო მომენტებს არც ამ შემთხვევებში უთმობდა იგი პრიმატს და ჩუმი პრაქტიკული შემოქმედებით საგრძნობ ნაბიჯებს აღწევდა.

არა ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა იგი მასწავლებელთა პერსონალის გაჯანსაღებას. ყოველგვარ შოვინისტ რუსოფილს და ხალხის ავტორიტეტ მოკლებულ პიროვნებას სასტიკად ებრძოდა მასწავლებელთავე დახმარებით და სცდილობდა გაეძევებია იგი თავისი წრიდან.

1905 წელს, როდესაც რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო, აფრასიონ ჯაფარიძის პრესტიჟმა უფრო აიწია ხალხის და მასწავლებელთა წრეების თვალში და ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ, ის გარემოება, რომ **მას ირჩევენ ინსპექტორად** იმავე სკოლაში სადაც იგი მასწავლებლობდა. მთავრობა ჯერ სცდილობდა არ დაემტკიცებინა იგი ამ თანამდებობაზე, მაგრამ პედაგოგიური საბჭოს კატეგორიული მოთხოვნილებით, ის იძულებული შეიქნა დასთანხმებულიყო.

აფ. ჯაფარიძე შეიქნა პირველი **არჩეული** ინსპექტორი რის გამოც, განათლების უწყების ხხვა და სხვა წრეებმა მას უწოდეს **„რევოლიუციონური ინსპექტორი“**. ეს უბრალო ფაქტიც მრავლის მეტყველია უსათუოდ. აქ ჩვენს თვალწინ იხატება მასწავლებელი შეურიგებელი მოწინააღმდეგე არსებული სამოსწავლო რეჟიმის და ნაწილობრივ მისი გარდამქნელი თავისი სურვილის მსგავსად.

ყოველივე ამას გარდა აფ. ჯაფარიძეს. დიდი ენერგია დაუხარჯავს პროვინციაში კულტურული მუშაობისათვის. ის იმ დროს მსახურებდა თიონეთის მაზრაში, როდესაც უვიცი გლეხობა სკოლას სამტრო დაწესებულებად უყურებდა და გასაგებია, რაოდენი შრომა დასჭირდებოდა მასწავლებელს ერთის მხრივ სკოლის მნიშვნელობის აგიტაციისათვის, ხოლო მეორეს მხრივ უკულტურო ხალხში მეცადინეობისათვის. ასევე ხდებოდა ახალციხის მაზრაშიც და ყველგან ჩინებულად აყვარებდა სკოლას და სწავლას მდაბიო ხალხს.

ყოველი წვრილმანის მაგრამ ამავე დროს მაღალ მნიშვნელოვანი მომენტების ჩამოთვლა შეუძლებელია ერთ საგაზეთო წერილში. აფ. ჯაფარიძე ჩვენი საზოგადოებისათვის არ არის კარგად ცნობილი. ის უფრო ჩუმი—პრაქტიკული მოღვაწეა და რეალურად მრავლის შემომქმედი.

ქართველ ხალხს მართებს ასეთ პირთა პატივისცემა.

დღეს მისი იუბილეის დროს ყველა მასწავლებელი უნდა გრძნობდეს საკუთარ პროფესიონალურ დღესასწაულს.

**გ. თავზარაშვილი.**

---

მაისურაძე (ჟანდარმის ოფიცრის როლ'ში), დ. მელაშვილი (ვანოს როლში), კ. ჭუბაბრია (ნიკო ბერდიაშვილის როლში).

არა უშავდარა ქ-ნ ნ. კოხრეიძეს (ნატალიას როლში), მაგრამ გამბედაობა აკლდა და მიხვრა-მოხვრაც ვერ ჰქონდა შესაფერი, რის მიზეზითაც ვერ დაგვიხატა მდიდარ გალაღებულ ბურჟუის მეუღლის ტიპი. იმედია შემდეგში უფრო გაბედულად მოჰკიდებს ხელს დაკისრებულ მოვალეობას და შრომას არ დაიზარებს.

აღსანიშნავნი არიან აგრეთვე: ელიზბარი (დირექტორის როლში), რომელსაც ეტყობა უნარი შესწევს, თუ არ დაიშურებს შრომას და მეცადინეობას. არა უშავდარა აგრეთვე ი. ჯავახიშვილს (მიშას როლში) და რამდენადაც კი შეეძლო გადმოგვცა მდიდარი ოჯახიდან გამოსულ ქარა ფშუტა ყმაწვილი კაცის ტიპი, მაგრამ არ იცოდა როლი და მიხვრა-მოხვრაც ვერ ჰქონდა შესაფერი.

ზედმიწევნით შეასრულა თავისი როლი ახალგაზრდა სცენის მოყვარემ მ. კიკნაძემ (ნიკოია, იმერელი მსახურის როლი).

არა უშავდათრა დანარჩენ მოთამაშეთაც: კ. ილოშვილს, რ. კაპანაძეს, ვ. ათაბეგოვს, მ. ბურძენიძეს, ვ. მაისურაძეს, გ. რუსაძეს (მუშების როლში) და სხვ.

იმედია შემდეგშიაც არ დაიზარებენ თავიანთ შრომას მუშა სცენის მოყვარენი და უფრო გულმოგინედ შეუდგებიან თავიანთ შრომას, რითაც დიდ სამსახურს გაუწევენ თავიანთ ამხანაგებს, ხელს შეუწყობენ მათ გათვითცნობიერებას, რითაც დიდ პატივისცემას დაიმსახურებენ.

კარგს იზავენ ამხანაგი მუშები თუ წარმოდგენა-საღამოების დროს უფრო წესიერად მოიქცევიან და ადგილი არ ექნება იმ აურ ზაურს, რომელსაც იჩენენ ზოგიერთები და საშვალებას არ აძლევენ დამსწრეთ გულმოდგინედ და დამშვიდებით მოისმინონ ყველაფერი

კარგს იზავენ ზოგიერთი მშობლები, რომ უსუსურ ბავშვებს არ მოიყვანდნენ ხოლმე, რომელნიც არღვევენ წესიერებას.

საერთოთ კარგი იქნება ხშირათ იმართებოდეს მუშათა კლუბებში ამნაირი წარმოდგენა-საღამოები, რასაც დიდი ნაყოფის გამოღება შეუძლიან მუშათა გითვითცნობიერებაში.

საკვირველია, მბეჭდავთა კავშირმა საიდან გამოსძებნა ასეთი შენობა, რომელიც სრულებით შეუფერებელი და ყოვლად უვარგისია ისეთი დაწესებულებისთვის, როგორიც არის მუშათა კლუბი.

სრულებით მოუხერხებელია ტეხნიკურის მხრივ, რომ რომელიმე წარმოდგენამ რიგიანად ჩაიაროს, რადგან არ არის სასცენო მოწყობილება და თვით სცენაც ძალზე პატარა არის.

უნდა ეცადოს მბეჭდავთა კავშირი, რათაც უნდა დაუჯდეს მბეჭდავთა კლუბს შესაფერი ბინა გამოუძებნოს, რომ შეასრულოს ის მიზანი, რაც ეკისრება მუშათა კლუბს.

**დამსწრე.**

---

(იხ. გაზ. „ტრიბუნა“. 1922 წ. № 342), ამ ნაწერებს თუ გადაიკითხავს ბ-ნი ირ-დი, დარწმუნდება, რომ ილიას მნიშვნელობა, როგორც ისეთი მწერლისა, რომელმაც პირველმა ჩვენში დაიწყო სოციალისტური აზრების ქადაგება და რომელმაც ლექსში—**პარიჟი**—თამამად შეაქო და მოიწონა პარიჟის კომუნა,—პირველად მე აღვნიშნე ჩვენს მწერლობაში. შეიძლება ფელეტონის ავტორმა ეს მეტიჩრობაში ჩამომართვას. მაგრამ რა ვქნა, რომ ეს ფაქტია. ამიტომ ჩვენთვის საკვირველია, რომ იგი დღეს მე მითითებს ილიას ამ მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება იმ ჩემ აზრს, რომ ბოლო ხანებში ოთხმოციან წლებიდან, ილიამ და ნიკოლაძემ ბიუროკრატიასთან შეგუება დაიწყეს და მოინდომეს იმის გამოყენებაც, ესეც აშკარა და უტყუარი ფაქტია. ეს არა თუ ჩვენს მოღვაწეებს, ბევრ რუს მოღვაწეებსაც ასე მოუვიდათ. დიდი პოლიტიკური გადატეხილობის დროს, როგორიც იყო ალექსანდრე მესამის რეჟიმი, ყოველთვის და ყოველგან მოსალოდნელია ასეთი ცვალებადობა. ამ ფაქტის აღნიშვნით სრულებით სურვილი არც მქონია და არც მექნებოდა, დამემცირებია ილია ან ნიკოლაძე. რომ ეს ასეა, ამას ამოწმებს ის გარემოება, რომ თვით ბ-ნი ირ—დი იწონებს ბიუროკრატიასთან ასეთ შეგუებას. ამ ფაქტის ჩემ მიერ შეფასება კი არ მოსწონს ბ-ნს ირ—დის. იყოს ნება მისი. რა გაეწყობა! ცხადია, რომ ჩემი და იმის აზრები და შეხედულება ბევრ საკითხში სრულებით სხვა და სხვაა. ამას დრო გაასწორებს და ერთ ერთს გაამართლებს, თორემ ჩვენს შორის კამათი და პაექრობა ამას ვერ გაარკვევს.

აქვე შემდეგიც უნდა შევნიშნო. როცა ვამბობ, რომ ილიამ და ნიკოლაძემ ბიუროკრატიის გამოყენება მოინდომესთქო, ვშიშობ, ეს ჩემი აზრი ბ-ნს ირ—დის ისე არ ესმოდეს, ვითომც ვამბობდე, რომ ილია და ნიკოლაძე ცდილობდენ, რომ ბიუროკრატია თვისი პირადი ინტერესებისათვის გამოეყენებიათ. ამას კი მაფიქრებიებს ის გარემოება, რომ ბ-ნს ირ—დის ხაზი გაუსვია სიტყვა გამოყენებისთვის, ამ მცნებას მე ამ აზრით ვერც ვიხმარდი და არც მიხმარია, რადგან მე, როგორც პუბლიცისტს მაინტერესებდა ამ ორი მოღვაწის საზოგადოებრივი მოქმედება და საქმიანობა და არა ამათი პირადი საქციელი. რამდენი იყო ჩვენში ისეთი პირი, რომელიც პირადი ანგარიშებისთვის იყენებდა ბიუროკრატიას! მაგრამ ისეთი პირი ვერ ეღირსება გახდეს საგნათ ჩვენი საუბრისა. გარდა ამისა მე კარგათ ვიცოდი და ვიცი, რომ თუ ილიასა და ნიკოლაძეს მოესურვებიათ, ბიუროკრატია გამოეყენებიათ თავისი პირადი ინტერესისთვის და ანგარებისთვის, ამას ისინი ზედმიწევნით მიაღწევდენ, ძალიან ადვილათაც, რადგან ორთავეს ამისათვის საჭირო საკმაო ცოდნა, გამოცდილება მოხერხება და სიდინჯე მოეპოებოდათ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ მათზე არც ვიბაასებდით. მაგრამ ისინი ამას ვერც ჩაიდენდენ და არც ჩაიდენდენ, რადგან ამათ ძვალ-რბილში ძალზე იყო გამჯდარი **საზოგადოებრივი ხინიდიხი.**

ილიასა და ნიკოლაძის მიერ ასეთი პოლიტიკის წარმოების შესახებ ჩემი აზრი უფრო ვრცლათ გამოთქმული მაქვს ორ სტატიაში: ა) პოლიტიკა ირაკლი მეორისა (იხ. „ტრიბუნა“ 1922 წ. № 222); ბ) სიდღეისო მუსაიფი III. იხ. „ტრიბუნა“. 1922 წ. № 310). თუ ეს აზრი ბ-ნი ირ—დისათვის მისაღები არ იყო, ნეტავ მაშინ სად იყო? რატომ არ სთქვა რა და არ გამომეკამათა? მე კი მგონია, რომ მაშინ არა სთქვა რა იმიტომ, რომ აკაკიზე არ ვსაუბრობდი. ახლა, როცა აკაკიზე ვსაუბრობ, გამომეკამათა, რადგან აკაკის ილიასთან შეფარდება და შედარება საწყენია. ამიტომ შეუძლებელი შეიქნა აკაკიზე ჩემი აზრის დატოვება უშენიშვნოთ, რომ ამით ჩემი აზრი აკაკიზე შენელდეს, გაქარწყლდეს და მნიშვნელობა დაკარგოს...

3) „აკაკი საქართველოს სიცხადეში არასოდეს არ ყოფილა წარმოდგენილი როგორც მომქმედი ელემენტი, როგორც პრაქტიკიო“; „რომ აკაკი რაიმე სამსახურშიც კი არ შესულა“. ამ განცხადებით ნეტავ რა სურს ბ-ნს ირ დის? რადგან აკაკი პრაქტიკი არ იყო და არც სამსახურში იყო, განა ამიტომ მას არ შეეძლო პოლიტიკური და საზოგადოებრივი გეზი სწორათ აეღო, გაეთვალისწინებია? დარწმუნდით, რომ ეს შემცდარი აზრია. ამ საზომით რომ მივუდგეთ მგოსანსა და პუბლიცისტს, კრიტიკოსსა და სხვათ, მაშინ ჩვენ ამათ ნამოღვაწარისას ვერაფერს გავიგებთ. მაშინ სუვორინი და კატკოვი უფრო დიდი პირადობანი იქნებიან, ვიდრე ნეკრასოვი, დობროლიუბოვი და პისარევი აკაკის ერთი ღირსებათაგანიც ის არის, რომ იგი მართლა სამსახურში არ შესულა და არც რაიმე პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა. იგი მოღვაწეობდა მხოლოდ ლიტერატურაში. ამიტომ იმითვის, როგორც პრაქტიკის გარეშე მდგომი ადამიანისათვის, ყოველი პრაქტიკანტის ნაკლი უფრო ცხადი იყო და ადვილათაც დასანახი. ყოველი პრაქტიკი გატაცებულია თვისი საქმიანობით. ეს ძალიან კარგი არის. მაგრამ ამ პრაქტიკამ ცალმხრივობაც იცის. ამიტომ საწინააღმდეგო შედეგებსაც იწვევს ხოლმე. თვით პრაქტიკი ამას ვერ ამჩნევს, რადგან ის გატაცებულია. მაგრამ ამის გარეშე მდგომი პირი ამას, ამ ცალმხრივობასა და ნაკლს ცხადათ ხედავს. ამიტომ ეს გეზსაც უფრო კარგათ მოიმარჯვებს. აკაკიც ასეთი იყო. ის ქართველი ერისა და საზოგადოების პრაქტიკულ მოღვაწეობას თვალ-ყურს ადევნებდა და ამ პრაქტიკას ის კრიტიკასა და შენიშვნას უკეთებდა, კრიჭაში უდგა. სწორეთ ამიტომ იმისთვის უფრო ადვილი საქმე იყო, სწორი გეზი აერჩია თვისი ქნარისათვის და საზოგადოებისთვის დროზე ერჩია და დაენახვებია ამ გეზის უმჯობესობა და უპირატესობა..

4) „გიორგი წერეთელმა მესამე დასის დაბადება იწინასწარმეტყველა“. გაუგებარი აზრია. განა შეიძლება დასის დაბადების წინასწარმეტყველობა?! კი არ იწინასარმეტყველა, დაინახა, შეამჩნია. დაინახა კი იმიტომ, რომ ცხოვრების რეალობას ანალიზი გაუკეთა, დაუკვირდა და აღნიშნა. აღნიშნა კი იმიტომ, რომ მესამე დასი არა თუ 1894 წელს, როცა ეს გ. წერეთელმა სთქვა, არსებობდა, იგი არსებობდა ოთხი წლით ადრე თუ არა ერთი წლით ხომ მაინც. ეს გარემოება მოწმობს გ. წერეთლის დაკვირვებით ნიჭს და მის ალალ-მართლობას, რადგან სთქვა ის, რაც დაინახა, დაინახა კი ის, რაც ცხოვრების წიაღში ნამდვილათ არსებობდა და იყო. ასეთი უნარი კი დიაღაც კარგი და მოსაწონი თვისებებაა ყოველი პუბლიცისტისა, ჟურნალისტისა და ბელეტრისტისათვის. გ. წერეთელიც სწორეთ ასეთიც იყო.

კმარა.

„ან ის, რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი,
თუ რაც მინდონა ვერა ვსთქვი“.

**ი. ფანცხავა.**

---

## მელითონეთა კავშირში.

**კავშირის სოხუმის განყოფილების ლიკვიდაცია.** მელითონეთა კავშირის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ სოხუმის განყოფილებაში ირიცხება მხოლოდ 8 კაცი, წინადადება მისცა განყოფილების მდივანს გააუქმოს მელითონეთა კავშირის სოხუმის განყოფილება და ყველა საქმეები გადასცეს პროფკავშირთა საბჭოს სოხუმის რწმუნეაულს.

**ბინის ქირა.** თანახმად საბინაო კოოპერატივის მომართვისა მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამეურნეო ორგანოებს; არსენალის სალითონო გინყოფილებას და საარტილერიო საწყობს მათ განკარგულებაში მყოფ თვითეულ სახელზე შეიტანონ საბინაო კოოპერატივში 10 მ. ოქრ.

**სამხატვრო სალიტერატურო წრის დაარსება.** კავშირის კულტუჯრედების ყრილობამ დაადგინა დაარსოს კლუბთან სამხატვრო-სალიტერატურო წრე და შეიმუშავოს ამისათვის გეგმა პროლეტკულტთან ერთად.

**პროფტეხნიკური კრებები.** კავშირის ცენტრ. გამგეობამ მიიღო პროექტი პროფტეხნიკური კურსების დაარსების შესახებ და გადასცა კულტგანყოფილებას სახელმძღვანელოდ და კურსების მოსაწყობად. კურსები მოწყობილი იქნება ავტო-სახელოსნოსთან (№ 1).

**მუშათა პრესა.** კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა პრესას და ეწევა პროპაგანდას გაზეთების გამოსაწერად

**კოლექტიური ხელშეკრულებები.** მარტის თვეში კოლექტიური ხელშეკრულება დადებულ იქნა 4 სახ. დაწესებულებებთან და ვრცელდება 8 ქარხანაზე. უმცირეს ხელფასად მიღებულია 8 მ. და 50 კ.

**ბეჭდვითი მუშაკთა სექციაში.** 5 მაისს ბეჭდვითი მუშაკთა დღის, ადგილობრივი რედაქციები მიიღებენ შეფობას მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტზე. ამ დღეს მუშათა წარმოდგენები გამოყენებული იქნება მოხსენებისათვის მუშათა პრესის შესახებ. ერთ-ერთ თეატრის დარბაზში გაიმართება სექციის ყველა წევრთა სხდომა მუშათა კორესპონდენტებთან ერთად. დღის ლოზუნგად გამოცხადებულია, ყოველი წერა-კითხვის მცოდნე მუშა ვალდებულია იკითხოს და წეროს თავის გაზეთში.

**განათლების მუშაკთა კავშირში**

10. მაისს გაიმართება განათლების მუშაკთა ცენტრ. პროფ. კავშირის გაფართოებული პლენუმი პროვინციის განყოფილებების წარმომადგენლებთან ერთად.

## ინტელიგენციის ისტორიისათვის.

(მიმართვის მაგიერ)

მე 19 საუკუნე ქართულ აზროვნების ახალი არსენალია. მე 19 საუკუნე საქართველოს საშოდან ახალი მებრძოლი ლაშქარის დამბადებელია.

მე19 საუკუნეში დაეფუძნა ქართული ნაციონალური აზროვნება, ამ საუკუნეში თუ მთლად არ მოკვდა, საკმაოდ მაინც შეიძარცვა ქართული ეროვნული პრიმიტივობა და პარტიკულიარიზმი.

მე 19 საუკუნეში გეოგრაფიულად ნაწილობრივ მაინც გამთელდა ფეოდალურად და კუთხურ სამთავროებად დაგლეჯილი საქართველო.

მე 19 საუკუნეში იბრწყინვა ორმა დიდმა ქართველმა ნიკომ და ილიამ, რომელთ ინტერვალში მოექცა იმპერატორის კლერიკალ-პოლიტიკოსებისაგან თავ გაჩეხილი დიმიტრი ყიფიანი.

მე 19 საუკუნის ქართველ ინტელიგენციის ისტორიის შესწავლა ჩვენთვის უაღრესად საჭირო და აუცილებელია, ვინაიდან ამ საუკუნეში ჩვენ ფერისცვალება განვიცადეთ, ამ საუკუნეში იშვა ჩვენში აგრეთვე „შრომის სუფევის“ იდეა.

ქართველ ინტელიგენციის ისტორიას მადლიანად და თავისებურ სიმძლავრით შეეხო **არჩილ ჯორჯაძე**. აწი ჩვენ გვჭირია ამ ისტორიის სრულ ქმნა და შევსება ყველა საიდუმლოებათა გადაშლა, როგორც არჩილს ისე სხვა მკვლევარს იმპერატორის რეჟიმის დროს შესაძლებლობა არა ჰქონდა ისტორიულ ეპიზოდებისათვის ფარდა აეხადა. დღეს კი ეს ჩვენთვის შესაძლებელია. ამ მხრით უნდა გაკეთდეს ის რაც აუცილებელია.

მე 19 საუკუნის ისტორია სრულ უნდა ვყოთ, აქ ინტელიგენციის ისტორიას მშრომელი ხალხის ბრძოლის ისტორიაც უნდა დაერთოს ნამეტურ ბატონყმურ პერიოდისა და საინტერესო იქნება მის პარალელით ჩვენი ინტელიგენციის აზროვნების განვითარების.

ამ მაღალ მიზნისათვის მეტად ძვირფასია მოგონებანი და თვით კერძო წერილები იმ ქართველ მოღვაწეთა, რომელთაც მე 19 საუკუნეში დაიწყეს მოღვაწეობა და მე 20 საუკუნეში გადმოსდგეს ფეხი.

უნდა მივმართოთ არქივებსაც; უამისოდ ვერას გავხდებით.

ზემო ხსენებული აზრი ყველა ქართველ ინტელიგენტისათვის უყოყმანოდ მისაღებად და ინტერესის გამომწვევად მიგვაჩნია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მას მოჰყვება რეალი განხეულების დაწყება, იმედია ჩვენი პრესა ფართედ დაუთმობს ადგილს ისტორიულ ხასიათის წერილ-მოგონებებს.

**ირ-დი**

## საუბარი გლეხთან

### კარტოფილის მოყვანა.

მე მგონია, ცოტა მოინახება იმისთანა მცენარე, როგორიც კარტოფილია, რომელიც ადვილად იტანს და ურიგდება ყველანაირ ჰაერსა და ნიადაგს.

დაწყებული ცივ ჩრდილოეთიდან, ვიდრე სამხრეთ თბილ ქვეყნებამდე, კარტოფილი მშვენივრათ ხარობს; იგი მოფანტულია თითქმის მთელ ხმელეთზედ.

ეს რუსებ-გერმანელების საყვარელი მცენარე ჩვენშიც თანდათან იკიდებს ფეხს და საპატიო ალაგს იჭერს ჩვენს ბოსტანში.

მიუხედავათ ამისა ჩვენმა მიწის მუშამ ჯერაც არ იცის კარტოფილის რიგიანი მოვლა-მოყვანა.

ჩვენმა სოფლის მეურნემ, თუ უნდა კარგი მოსავალი მიიღოს უნდა ნიადაგი მოამზადოს შემოდგომითვე და რაც ადრე იქნება ისა სჯობია, გადაბაროს ღრმათ, რაც შეიძლება დიდი ბელტები გადააბრუნოს, ამ დროს მოყოლილ სარეველა ბალახს და მათ თესვებს ნუ აარჩევს, დაბარული გამოვიდეს უსწორ-მასწორო. ამისთანა ნაბარს ზამთარში ჰაერი და ყინვა ასწორებს, მიწაში ჩადის წვიმის და თოვლის წყალი ბლომათ.

რაც შეიძლება ადრე გაზაფხულზე, დათესის წინეთ, მიწა კიდევ იბარება, უნდა თხელი ბელტი ბარით მოიჭრას და თანასწორეთ დაეწყოს, ამასთანავე ბელტები ბარით ერთ ორ ალაგას უნდა დაიმსხვრას, სარეველა ბალახები, მათი ფესვები და ქვები წმინდათ ამოირჩეს; გადაბარული მიწის პირი უნდა იყოს მოსწორებული.

კარტოფილი ძალიან საჭიროებს სასუქს, სოფლელ მეურნეს სასუქის შოვნა შეუძლიან ადვილათ.

ვისაც საქონელი ყავს ზამთრის განმავლობაში ადვილათ მოამზადებს მოაგროვებს 200—300 ფუთ საქონლის ნაკელსა და ამ რაოდენობით ყოველთვის გააპატივრებს 200—300 ოთხ კუთხ საჟენს მიწას.

სოფელში ყველა ოჯახში, შეძლებულისა და ღარიბისაში იწვის ზამთარში შეშა.

დამწვარ შეშიდან რჩება ნაცარი ეს ძვირფასი სასუქია კარტოფილისათვის.

თითო ოჯახში მოგროვდება არა ნაკლებ 5—10 ფუთისა; იმის მაგივრად, რომ აქა-იქ უბრალოთ არ იფანტოს და გადიყაროს ნაცარი, სჯობია სადმე მოფარებულ ალაგას გროვდებოდეს ხოლმე, მხოლოდ უნდა ზევიდან საფარი ქონდეს, რათა წვიმების დროს არ დასველდეს.

კართოფილისათვის მეურნე ვერ იშოვის ამაზედ უკეთესს და მარგებელ სასუქს.

რომ უფრო დიდი სარგებლობა მოიტანოს ნაცარმა, სჯობია, იმ ალაგას, სადაც უნდა დაითესოს კარტოფილი, ორი ხელის მუჭის ოდენა ნაცარი აერიოს კარგა მიწასა და ისე მიეყაროს პატარა ორმოში ჩადებულ კარტოფილსა.

ჩვენ მეურნეს ნურასოდეს ნუ დაავიწყდება ბრძნული ანდაზა. „რასაც დასთეს, იმას მომკიო“, რომელიც ყველა თესლეულზედ არის ნათქვამი და არა მარტო ხორბლისაზედ.

ჩვენ მეურნეს თავის უვიცობით ჩვეულებათ გაუხდია, რაც წვრილი კარტოფილია ის დათესოს, ის, რომელიც უვარგისობის გამო ვერც გაუყდია და ვერც მოუხმარებია ოჯახში.

სათესლეთ კარტოფილი უნდა აირჩეს არც წვრილი და არც მსხვილი, არამედ მრგვალი, შუათანა ტანის, მოგრძელო და ფერით: თეთრი, ყვითელი, ან ვარდისფერი.

კარგი მარგებელი ნოყიერი კარტოფილი მოხარშული უნდა იშლებოდეს და ამასთან კარგი სუნი ასდიოდეს მოხარშულს.

საჭიროა ჩვენმა მეურნემ გაიგოს, რომ სხვა და სხვა მიწა—ნიადაგს, საცა კარტოფილს სთესს სხვა და სხვანაირად უნდა დამუშავება, უამისოდ საქმე ვერ წავა რიგიანად.

თუ ნიადაგი ქვიშა ნარევია, მსუბუქია, კარგა გაპატივებულია და იმედია, რომ მცენარე კარგა იხარებს, მაშინ კარტოფილის რიგსა და რიგს შუა უნდა დაიტოვოს ერთი არშ..ნი მანძილი, ხოლო რიგში ერთი ერთმანეთისაგან მცენარეები სამი (ორი-მეოთხედი) მეოთხედი არშინით უნდა იყვნენ დაშორებულნი, სიღრმე კი 3 ნახ. ვერშოკი უნდა ქონდეთ.

თუ რომ ნიადაგი თიხიარია, ან ვერ არის ნოყიერი და იმედია მცენარე დიდი არ გაიზრდება, ესე იგი არ ექნება ბევრი ყლორტეტი, მაშინ უნდა დაითესოს ხშირათ არა უმეტეს 2 ვერშოკი სიღრმისა.

კარგი მოსავალი რომ მოვიდეს, უნდა კარტოფილი დამჭკნარი და კვირტებ-გაღვიებული იყოს. ამისათვის 5—14 დღის წინეთ დათესვამდე კართოფილს თხლათ შლიან თბილ და ნათელ ოთახში.

კარტოფილი ნელ-ნელა ჭკნება და კვირტებიც ნელ-ნელა ღვივდება.

ასე მომზადებული კარტოფილი ამოდის ჩქარა და მოსავალი ძალიან მატულობს.

როგორც საერთოთ სუყველა მცენარეების თესვა არ ვარგა ნიადაგ-წელსა ზედი-ზედ ერთ და იმავე ადგილასა, ისე კარტოფილის დათესვაც არ ვარგა.

ამისათვის საჭიროა მცენარეებს ეცვალოთ ადგილი, მაგალითად, კარგი კარტოფილი მოდის კომბოსტოს შემდეგ, კარტოფილის შემდეგ კარგი ჭარხალი, სტაფილო, ლობიო და სხვა. კარტოფილის შემდეგ კარგათ ვერ მოდის მარტო ხახვი და ნიორი.

როცა გათავდება კარტოფილის თესვა, კარგი იქნება, მაშინვე მსუბუქათ დაიტკეპნოს დათესილი ალაგი ამისთანა გასწორებულ ალაგს მზე, ქარი ისე ვერ აშრობს, როგორც უსწორ-მასწორს. დატკეპნილი მიწა ქვე ნიადაგის ნაწილებიდან აწევა სინოტიეს, ხისველეს, რომელიც ასველებს კარტოფილის გარეშემო ნიადაგის ნაწილებს, ზევიდან კი თბილი ჰაერის შემწეობით კარტოფილი ღვივდება და ამოდის ჩქარა,

ნიადაგი კი ათი დღის შემდეგ მანამ კარტოფილი ამოვა, თოხით ან ფოცხით უნდა აიჩეჩოს ხოლმე; აჩეჩილ გაფხვიერებულ მიწას მზე და ქარი ისე ვერ აშრობს, როგორც კან გაკეთებულ მიწის პირსა.

რაწამს სარეველა ბალახი გამოჩნდება, მაშინუნდა გათოხნოს ზერელე და არა ღრმათ. როცა კართოფილის ყლორტები 3—6 ვერშოკისა გახდებიან, მაშინ უნდა გარეშემო შემოეფაროს მიწა.

მიწის შემოჩრა თითქოს ადვილი სამუშაო იყოს, მაგრამ მასაც ცოდნა უნდა; კარტოფილს მიწა სხვა და სხვა ნაირათ შემოეყრება იმის და მიხედვით, თუ რომელ ნიადაგზეა ის დათესილი და რა სიღრმეზე.

თუ ნიადაგი ქვიშნარი და ფხვიერია მაშინ უნდა თხლათ შემოეყაროს მიწა; ამ შემთხვევაში კარტოფილი იქნება ღრმათ დათესილი; და თუ თიხნარი ან თიხნარნარევია, მაშინ მიწა ბლომათ, სქლათ უნდა შემოეყაროს; კარტოფილი ამ შემთხვევაში იქნება თხლად დათესილი.

საცა გვალვა და დიდი სიცხეები იცის, კარგა იქნება კარტოფილის ღეროები-ყლორტებით-წააწვინოთ მიწაზე, გაითელოს; ამას მოაქვს ის სარგებლობა, რომ კარტოფილის ძირნაყოფები მსხვილდებიან და მაშასადამე მოსავალიც მატულობს.

ბევრჯერ მინახავს, რომ კარტოფილი მთლათ მოუთიბიათ; ეს არაფერ მოსაზრებაზე არაა დამყარებული და გაუგებარია.

გარდა ამისე, ამას კარტოფილისთვის ვნებაც მოაქვს: ნორჩი ყლორტები და ფოთლები ძირნაყოფებს საზრდოს უმზადებენ და უგზავნიან, მათი მოთიბვით-კი მაშასადამე ამ საზრდოს გზავნა ვუსპობთ.

დაყვავილების შემდეგ კარტოფილი აღარ იზრდება, ნელ-ნელა თითქმის პატარავდება, ჭკნება და ამდროს-კი ნაყოფი მსხვილდება.

რამდენიც მეტი ხანი მიწაში დარჩება, ისა სჯობია, სიტკბო ნელ-ნელა იცლება და ამის მაგივრათ ემატება სახამებელი, სწორეთ ის ნაწილი, რომლისათვისაც კაცს მოყავს კარტოფილი შემოდის (მწიფდება), კანი უსქელდება და ამის-გამო კარგა ინახება ზამთარში.

(მიწის მუშა)

**ხოლომონ ფირცხელაშვილი.**

## რას უნდა მივაქციოთ ყურადღება გურია-სამეგრელოს და აჭარის [illegible]

შავი ზღვის ახლომახლო და გურია-სამეგრელოში ძალიან თბილჰავიანი ბუნება და ნოყიერი ნიადაგია.

აქ შეიძლება ბევრი ისეთი მცენარეების მოშენება-მოყვანა, რომელნიც საქართველოს სხვა კუთხეებში ვერ ხარობენ.

ნიადაგის და ჰავის ამ თვისებით უნდა ისარგებლოს ადგილობრივმა მეურნეებმა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ძვირფას მცენარეთა გაშენებას.

ასეთ მცენარეთა რიცხვი საკმაოა, ისე რომ ყოველ მეურნეს შეიძლება აქვს ამოირჩიოს თავისთვის სასურველი მცენარე, მით უმეტეს, რომ ამათ მოვლა მოშენებაზე დახარჯული შრომა ძალიან კარგათ ანაზღაურდება.

ამ მოვლენას ადრევე მიაქციეს ყურადღება და ამ მცენარეთა მოშენება თან და თან ვითარდებოდა.

ამ კუთხეებში თქვენ ძალიან ხშირათ შეხვდებით მანდარინს, ჩაის, ლიმონს, დაფნას და ფორთოხალს. მათ გავრცელებას ხელს უწყობს ჩაქვის სახალხო მამული და ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

სისწრაფე, რომლითაც იზრდებოდა ამ მცენარეებისაგან გამრავლება, აიხსნება აგრეთვე მათი კარგი ფასით. ერთ დესეტინა მანდარინის ბაღს შეუძლია სამ-ოთხჯერ უფრო მეტი შემოსავლის მოცემა, ვიდრე ამავე რაოდენობის სიმინდის ყანას. ამიტომაც განსაკუთრებული ენერგიით ამრავლებდნენ ამ მცენარეებს [illegible] ადგილებში.

მაგრამ ამ უკანასკნელ ორი სამი წლის დაბალმა ფასებმა ძალიან შეაფერხა ამ მცენარეთა გამრავლების საქმე, ვინაიდან ბაზარი არ ჰქონდა, დაეცა ფასი დაფნაზე. ამასთანავე იმატა სიმინდის ფასმა.

ზოგიერთმა მეურნემ ამის გამო ამ მცენარეთა ბაღები მოსპო და სიმინდი დათესა.

მაგრამ ეხლა მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა, თანდათან მატულობს ფასები დაფნაზე, ჩაიზე და მანდარინაზე.

მომავალში უეჭველია მეურნისათვის ხელსაყრელი ფასები დამყარდება და ამ გარემოებას დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს მშრომელმა გლეხობამ.

ყველა ისეთი მიწები, სადაც ეს მცენარეები ივარგებენ, უნდა გაშენდეს ისევე ამ მცენარეებით, მით უმეტეს რომ, ეხლა ბლომათ მოიპოვება სანერგე და გასამრავლებელი მასალა.

არ დაივიწყოთ, რომ მომავალში ამ მცენარეთა მოშენებას დიდი მოგების მოტანა შეიძლება.

(მიწის-მუშა)

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ასტრო-ფიზიკური ინსტიტუტი.** რუსეთის მთავარ ასტრო-ფიზიკურ ობსერვატორიის მაგივრათ იქმნება რუსეთის ასტრო-ფიზიკური ინსტიტუტი. ინსტიტუტის შემადგენლობაში შევლენ მოსკოვის ცენტრალური ინსტიტუტი, ტაშკენტის და ნოვოჩერკასკის ასტრონომიული ობსერვატორიები.

**მოლაპარაკე ფილმები.** ინჟინრებმა განს ფოხტა და ჟოზეფ მასსოლმა და ფიზიკოსმა იოჰან ენგელმა ბერლინის სახალხო თეატრში აჩვენეს თავიანთი მოლაპარაკე ფილმები, რომელზეც ისინი მუშაობდენ 4 წლის განმავლობაში. ისინი გამოდიოდენ მოლაპარაკე ფილმის პრობლემის თეორეტიულ გადაჭრიდან, რომელიც მოცემული იყო 1901 წ. ბერლინერ ფიზიკოს ერნესტ რუმერის მიერ. ხმის გადასაღებათ ხმის ტალღები სინათლის რხევათ გადაიქცევიან. პირველათ ისინი მიკროფონში იქცევიან სუსტ ელექტრიულ ნაკადათ; შემდეგ ძლიერდებიან კატოდის მილში და მიიმართებიან ულტრადაჰიმვის სანათურში, რომელშიც ელექტრული ხვების რხევა სინათლის რხევათ გადაიქცევა. ამ სანათურის სინათლის რხევა ტარდება ხვრელში და ისახება ჩვეულებრივ ფილმის ლენტზე. ამ ფილმის ისევ ხმებათ გადასაქცევათ მასში უშვებენ სინათლის სხივების გროვას, რომელიც ეცემა ფოტოგრაფიულ აპარატს, რომელშიც სინათლის რხევანი ისევ ცვალებად ელექტრულ ნაკადათ იქცევიან და შემდეგ განსაზღვრული წესით ნამდვილ ხმებში ისახებიან. ამ რიგათ, მიღწეული არის თანადრულობა ხმისა და სინათლის, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იყო კინემატოგრაფისა და გრამოფონის უბრალო შეერთებით და რომელზეც გაცხარებით მუშაობდენ გამომგონებლები უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში.

**თანამედროვე კოსმოგონიური შეხედულებანი.** რადიო აქტიური პროცესების შესწავლას მივყევართ მთელ რიგ კითხვებისადმი, რომელზეც მეცნიერებას ჯერ კიდევ არ გაუცია პასუხი. თუ კი რადიო აქტიურ პროცესების არსებობას მივიღებთ მხედველობაში და მასთან დაკავშირებულ ნივთიერების დაშლას, მაშინ ნათელი ხდება, რომ მსოფლიოს სურათი, რომელიც ჩვენ ახლა გვაქვს წარმოდგენილი, მცირე ხნის განმავლობაში (გეოლოგიურათ)—მილიონ და მილიარდ წლებში,—ნაკლებათ უნდა შეცვლილიყო; მაშინ მთელი მსოფლიო თავის გზით წავიდოდა, რაც მეტად არა საეგებისო იქნებოდა. თესოტ ნერნსტი თავის შესანიშნავ შრომაში გამოსავალს პოულობს ამ მდგომარეობიდან და ამბობს, რომ ელემენტების ატომები არა მარტო განიცდიან მუდმივ რადიო-აქტიურ დაშლას, არამედ აღიდგინებიან კიდეც ეთერში; ესენი არიან ის ატომები, რომლებიც არ არიან აღმოჩენილი დედამიწაზე და რომლებიც მეტად დიდი ატომური წონის არიან (ურანის წონაზე მეტის). ნერნსტის მსჯელობიდან დაისკვნება, რომ ამ ატომებმა დასაწყისი უნდა მისცენ რადიო აქტიური ნივთიერებების რადიაციას; ეს ის რადიაცია არის, რომელიც დედამიწაზე იყო შემჩნეულ და რომელიც არც მზეს და არც დედამიწას არ აკუთვნის. ნერნსტი ხსნის მთელ რიგ მნიშვნელოვან ფაქტებს და მისი ჰიპოტეზა მსოფლიოს წარმოშობისა მეტად ყურადსაღები და მნიშვნელოვანია.

**შტეინახის ოპერაციები.** სექსუალური მეცნიერების საზოგადოებაში, გერმანიაში, ცნობილმა შტეინახის მომხრემ, აქიმმა შმიდტმა გააკეთა მოხსენება შტეინახის ოპერაციების ადამიანზე გამოყენების შესახებ. მოხსენების დასაწყისში შმიდტმა მიმოხილვა გაუკეთა შტეინახის ოპერაციების მეცნიერულ საფუძვლებს; შტეინახის ოპერაციები, როგორც ცნობილია, იმაში მდგომარეობს, რომ თესლის თირკმლებში არსებობს თესლის არხებს შორის განსაკუთრებული ქსოვილი, რისგანაც არის განსაკუთრებით დამოკიდებული ორგანიზმის სქესობრივი განვითარება. ეს ქსოვილი, რომელსაც „ჩანასახის თირკმელი“ უწოდეს, განსაკუთრებულ განვითარებას იწყებს და გადასცემს მის მიერ განვითარებულ წვენს სისხლში,—თუ კი ოპერაციის საშვალებით გადავაბამთ თესლის ყველა არხებს. ასეთი ოპერაციის შემდეგ ცხოველებს გაახალგაზდება ეტყობათ ე. ი. თმების განახლება, სქესობრივი ლტოლვა და სხ. შტეინახის ოპერაციების შემდეგ ასეთივე სიმპტომები შეამჩნიეს ადამიანებზეც. ამასთან თუ არხი მხოლოდ ერთი მხრით იყო გადაბმული, მაშინ დაურღვეველი რჩებოდა განაყოფიერების უნარი. შტეინახის თეორიის სისწორის დასტური, სავსებით მოულოდნელათ, ნიუ-იორკიდან იქნა მიღებული, სადაც ცნობილი ქირურგ-უროლოგი ხეტვუდი უკვე ათი წელია რაც შტეინახის ოპერაციებს აკეთებს. ამ ქირურგს აქვს ახლა დიდძალი კლინიკური მასალა, რომელიც შეკრებილია ათი წლის ცდებით და რომლებიც ადასტურებენ შტეინახის თეორიის სისწორეს. დისკუსიის დროს, შმიდტის მოხსენების დასასრულს, რამოდენიმე აქიმმა, რომლებიც ამ დარგში მუშაობენ, აღნიშნეს, რომ შტეინახის ოპერაცია არც ისე უშიშარია, როგორც ეს მის მომხრეთ სურთ მოგვაჩვენონ და ამიტომ მას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ წინასწარ გაფრთხილებით, რომ ის პაციენტის პირადი გაბედვით გაკეთდეს.

## ხრონიკა

### დები თარხნიშვილების კონცერტი

სახალხო სახლში პარასკევს, 20 აპრილს, შესდგა მეტად საინტერესო ქართული კონცერტი, დების თარხნიშვილებისა, რამაც დიდი საზოგადოება მიიზიდა. კონცერტი ფართო პროგრამისგან შესდგებოდა და კარგის შესრულებით დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოებას, რომელიც ყოველ ნომერის დასასრულს მხურვალე ტაშისცემით აჯილდოვებდა შემსრულებელთ. განსაკუთრებით ლამაზი და ტკბილი მომხიბლავი ხმა აქვს პირველის მთქმელ თარხნიშვილს, მსმენელი საზოგადოება სტკბებოდა ნამდვილის შეუბღალავის ქართული ხალხური მელოდიებით და ალტაცებაში მოდიოდა. პირველს განყოფილებაში შეასრულეს „ჰერიო“ „ღმერთო მეც გადმომხედე“ „სოფლელი გლეხის შვილი“ „ბიჭო მამალმა იყივლა“ „ნამგალო“ „შაშვი კაკაბი“ „ნეტავი გოგო მე და შენ“ და სხვა. მეტად საინტერესო იყო გლეხური სცენებით შესრულებული. „მუშური“ „ბერი კაცი“ „ზამთარი“ და განსაკუთრებით „ჭონა“, რამაც მქუხარე ტაში გამოიწვია დარბაზში და მომღერლებს გაამეორებინეს. ეს ნომერი ჭეშმარიტად, დები თარხნიშვილების შედევრია შესრულების მხრივ. დასასრულს შეასრულეს „ცანგალა“ გლეხური ცეკვით. უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოთ ამ გლეხურ ცეკვას შარჟის ხასიათს აძლევენ რაიც სრულიად დაუშვებელია, და უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ვის არ უნახავს სოფლის ახალგაზრდა გლეხის ცეკვა, რომელსაც თავმოყვარედ და ადამიანურის ღირსებით უჭირავს თავი. ამ გვარი ცეკვა გაცილებით მთლიან შთაბეჭდილებას დასტოვებდა. შემდეგ ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

მესამე განყოფილებაში კარგად შეასრულა თარხნიშვილმა „ურმული“ კარგად და დიდის გრძნობით იყო შესრულებული სულხანიშვილის ოპერიდან „დაიგვიანეს.

კონცერტის დასასრულს სცენაზედ იცეკვეს დოლდუკზე ლეკური სამმა წყვილმა, რომელთა შორის მოსაწონი და კარგნი იყვენ, პირველი წყვილი ქალ-ვაჟი, რომელნიც მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. მეორე წყვილის ცეკვის დროს კი თუმცა ვაჟის ზოგიერთი ცეკვის ფიგურა მისაღები იყო, მაგრამ მას ქონდა დეფექტებიც.

საზოგადოთ დიდი მადლობის ღირსი არიან დები თარხნიშვილები ამისთანა კარგი კონცერტის გამართვისთვის. სასურველია რომ მათ გაიმეორონ თავისი კონცერტი დიდ თეატრში.

ვ. ბ....ლი

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 216 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2